

კორონა ვირუსის (COVID-19) გავლენა საქართველოს ბიზნეს სექტორზე და მისი გადაჭრის გზები

რეზიუმე

2019 წლის დეკემბერში ჩინეთში დაწყებულმა და შემდეგ მთელს მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა (Covid-19) სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიო. Covid-19 და მისგან გამოწვეული 2020 წლის გლობალური რეცესია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. პანდემიამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, უმუშევრობის ზრდა, ლარის მსყიდველუნარიანობის შემცირება, უძრავი ქონების ფასების შემცირება და კერძო სექტორის გადახდისუნარიანობის შესუსტება. ვირუსმა ბიზნესისა და მომხმარებლის ქცევა რადიკალურად შეცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისი – ეს არის საფრთხე, თუმცა იგი ასევე არის ახალი შესაძლებლობების წყაროც, გამომაფიხილებელი ფაქტორი, რომელიც გვეხმარება რეალობის სხვა კუთხით დანახვაში, შესაბამისად „მნიშვნელოვანია ვისწავლოთ ლიმონისგან ლიმონათის დამზადება“.

საკვანძო სიტყვები: კორონა ვირუსი, პან-

ბოჩა აბაშიძე


სტუ-ს დოქტორანტი

დემია, ბიზნეს გარემო, ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა.

პირითადი ტექსტი

2019 წლის დეკემბერში ჩინეთში დაწყებულმა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა (Covid-19) სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიო. Covid-19 და მისგან გამოწვეული 2020 წლის გლობალური რეცესია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. ვირუსმა დააზარალა არამარტო განვითარებადი არამედ ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორც არის ჩინეთი, აშშ, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია და სხვა, აღნიშნულის თვალნათლად გაგებიანათვის ცხრილი 1-ის სახით წარმოგიდგენთ ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი ფაქტორის „უმუშევრობის“ ზრდის ტენდენციებს ევროზონის ქვეყნების მაგალითზე.¹

ცხრილი 1



¹ https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/jobs-and-economy-during-coronavirus-pandemic_en

სამუშაო ადგილების დაკარგვამ და უმუშევრობის ზრდამ დაძაბულობა გამოიწვია მრავალი ევროპელის საარსებო წყაროსთან დაკავშირებითაც. ზემოაღნიშნული ცხრილის და მოსალოდნელი პროგნოზის თანახმად, ევროზონის უმუშევრობის დონე 2019 წელს 7.5%-იდან, 2020 წელს 8.3%-მდე და 2021 წელს 9.4%-მდე გაიზარდება, 2022 წელს კი 8.9%-მდე შემცირდება, ხოლო ევროკავშირში უმუშევრობის დონე 2019 წელს 6.7%-ით, 2020 წელს 7.7%-მდე და 2021 წელს 8.6%-მდე, ხოლო 2022 წელს 8.0% -მდე შემცირდება.

ქვეყნების უმრავლესობაში გამოცხადდა კომენდანტის საათი, ასევე ჩაიკეტა ქაღალეები და ქვეყნები. პანდემიის გავრცელება თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრებას შეეხო და ყველა სექტორზე მოახდინა გავლენა. კორონავირუსს 2021 წლის 5 იანვრის მდგომარეობით 1 867 631 ადამიანი ემსხვერპლა. მრავალი მნიშვნელოვანი დარგის შეჩერება ან შეფერხებით მოქმედება გამოიწვია (ბიზნესის, ფინანსების, ტრანსპორტის).¹

კორონავირუსმა მსოფლიო ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია და აღნიშნული მდგომარეობის გამწვავება დამოკიდებულია ვირუსის გავრცელების არეალზე. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება, ამ ეტაპისთვის რთული განსასაზღვრია აღნიშნული გავლენის მასშტაბები. კორონავირუსის პანდემიის ეფექტს, ხშირად მესამე მსოფლიო ომსაც კი ადარებენ, შესაბამისად ვირუსის აღმოფხვრისთანავე, მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ეკონომისტების პროგნოზით, დიდია ალბათობა იმისა, რომ კორონავირუსი მსოფლიოს ეკონომიკას რეცესიამდე მიიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსი თავდაპირველად ჩინეთში გავრცელდა და კვლევების უმრავლესობა ჩინეთის ეკონომიკაზე ვირუსის გავლენას იკვლევს, მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება და თუ ვირუსის აღმოჩენის დღიდან ჩინეთი წარმოადგენდა მკვლევართა ფოკუსირების ადგილს, დღეს მსოფლიოში არსებული მდგომარეობა შეიცვალა და ვირუსით

ინფიცირებულთა რაოდენობით, მსოფლიოში 2021 წლის 5 იანვრის მდგომარეობით პირველ ადგილზე აშშ-ა, მეორეზე – ინდოეთი, მესამეზე – ბრაზილია, მეოთხეზე – რუსეთი და სხვა.² შესაბამისად, რთულია იმის პროგნოზირება, თუ რომელი ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდება ყველაზე მეტად. რაც შეეხება ეკონომიკის დარგებს, ანალიტიკოსების ვარაუდით, კორონავირუსის პანდემია გავლენას იქონიებს ყველა სექტორზე. დღეის მდგომარეობით ყველაზე მეტად საქართველოში კორონავირუსისგან დაზარალდა ტურიზმის სფერო, რამაც საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ასევე ვირუსის გავლენა თვალშისაცემია ტრანსპორტირების, გადამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო, საცალო ვაჭრობისა და გართობის სექტორებზეც.

COVID-19-ის პანდემიამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, ასევე უმუშევრობის ზრდა, ლარის მსყიდველუნარიანობის გაუფასურება, პროდუქტების ფასების გაძვირება, უძრავი ქონების ფასების შემცირება³ და კერძო სექტორის გადახდისუნარიანობის შესუსტება. COVID-19-ის ვირუსის გავრცელებამ სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა ეკონომიკა და ბიზნესი მსოფლიოს მასშტაბით და არც საქართველოა გამონაკლისი.

კორონა ვირუსმა ბიზნესისა და მომხმარებლის ქცევა რადიკალურად შეცვალა. როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორები იბრძვიან, რომ შეაჩერონ დაავადების გავრცელება და შეამცირონ covid-19-ით ინფიცირების შემთხვევები.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარდა არაერთი პროგრამა ბიზნესის მხარდაჭერისათვის⁴, კერძოდ: ბიზნესის მხარდაჭერის მიზნებისათვის განხორციელდა 1,6 მილიარდ ლარზე მეტის მობილიზება (იხ. დიაგრამა 1).

ამასთან აღსანიშნავია, რომ 50 000-ზე მეტ გადამხდელს გადაუვადდა 400 მილიონ ლარზე მეტი საგადასახადო ვალდებულება და განხორციელდა შემდეგი საგადასახადო შეღავათები:


1. 6 500-ზე მეტ გადამხდელს გადაუვადდა 220 მლნ ლარი (საშემოსავლო და ქონების გადასახადი);

² <https://www.trt.net.tr/georgian/covid19>

³ <https://forbes.ge/news/9043/uZravi-qonebis-analitika-->

⁴ <https://www.mof.ge/>

¹ https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia-Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf



დიაგრამა 1.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

- 38 ათასამდე ავტოიმპორტიორს გადაუვადდა 50 მლნ ლარის გადასახადი;
- 6 500-ზე მეტ გამამხდელს 133 მლნ ლარის საგადასახადო დავალიანებაზე გაუფორმდა გრაფიკი;
- ქონების იჯარის/ლიზინგის მომსახურების დღ-ით დაბეგვრის საკასო მეთოდზე გადაყვანით განხორციელდა საგადასახადო შეღავათი;
- დღ-სგან განთავისუფლდა პანდემიასთან ბრძოლის პროცესში გამოყენებული სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონელი;
- სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით, დამსაქმებლებმა მიიღეს საგადასახადო შეღავათი - 6 თვის განმავლობაში და 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. 1500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან.

მართალია სახელმწიფოს მხრიდან გატარდა გარკვეული ღონისძიებები მაგრამ აღსანიშნავია, რომ კომპენდანტის საათის და დაწესებული შეზღუდვების არსებობამ ბიზნესს გაუჩინა გარკვეული სირთულეებიც, რაც ეხება სანგბარო საშვების გაცემას, ფუნქციების განაწილებას ორგანიზაციებს შორის, დროის

მენეჯმენტს და დოკუმენტბრუნვას, ასევე შეასუსტა თანამშრომელთა მართვის სისტემა და გამოიწვია შრომისუნარიანობის შემცირება. ამ ყველაფერს დაემატა გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობის (დროებითი მაინც) გარდაუვალი ზრდა, სიღარიბის მაჩვენებლის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საკუთრებაშია 6 089 საწარმო, საიდანაც აქტიურია 2 607 საწარმო.¹ სახელმწიფომ საშეღავათო პროცედურების განსაზღვრისას გამოარჩია კერძო ბიზნესისგან სახელმწიფო საწარმოები და სრულიად შეზღუდა შეღავათების მათზე დაშვება, რაც ჩემი აზრით აღნიშნულ საწარმოებს არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში აყენებს, შესაბამისად აღნიშნული არ მიმაჩნია სწორ სვლად, რადგან ეს საწარმოებიც ჩვეულებრივად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არიან რეგისტრირებული და მათი მიზანიც სწორედ მოგების მიღებაა. აქედან გამომდინარე ფაქტიურად აღნიშნულ საწარმოებს დაეკისრათ დიდი როლი გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევას თავიანთი რესურსებით, რაც არც თუ ისე მარტივი იქნება პოსტ-პანდემიურ პერიოდში.

¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/66/sakutrebis-formebis-mikhedvit>

ეკონომიკური სირთულის პრობლემა მწვავედ დადგება პოსტ-კრიზისულ მოცემულობაში. ამ პერიოდისთვის გატარებული შეღავათების და გადასახადების შემცირების პოლიტიკა (დღეს-ს ავტომატური დაბრუნება თუ საშემოსავლო გადასახადზე შეღავათები) მოაზრებულია, როგორც სამუშაო ადგილების შენარჩუნების საშუალება და ერთგვარი სტიმული ბიზნესისთვის, თუმცა მომავალში ამ შეღავათის კომპენსირება უნდა მოხდეს პროგრესული გადასახადების შემოღებით, რაც იქნება ცენტრალური საკითხი, მით უმეტეს ვალების გადახდის პერიოდში. მთავრობამ ნაწილობრივ აღიარა, რომ დიფერენცირებული მიდგომა არის აუცილებელი, როდესაც მხოლოდ 750 ლარიან ხელფასებზე დააწესა საშემოსავლო შეღავათები და ამის ზევით შემოსავლები სტანდარტულად დაბევრა, ამასთან სრულიად გამორიცხა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ/არსებულ საწარმოებთან მიმართებაში აღნიშნული შეღავათები, იმ პირობის გაუთვალისწინებლად რომ აღნიშნული საწარმოებიც არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, ეს სინამდვილეში არის გაუცნობიერებული აღიარება იმისა, რომ საგადასახადო სისტემა უნდა იყოს აგებული შემოსავლების დიფერენცირების და გადახდის-უნარიანობის შეფასების მიდგომაზე. შესაბამისად, პოსტ-კრიზისულ მოცემულობაში, როდესაც აუცილებლად დადგება ბიუჯეტის ზრდის საჭიროება, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იქნება, როგორ მოხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა - მაგალითად კვლავ გაიზრდება რომელიმე გადასახადი? თუ შემოვა სხვა ახალი დაბეგვრის მეთოდი?

ასევე აღსანიშნავია, რომ პანდემიამ საქართველოში აამაღლა ტექნოლოგიების და ელექტრონული სისტემების როლი, იმ პირობის გათვალისწინებით, როდესაც თითქმის ყველა საჯარო სექტორი დისტანციურ სამუშაო პროცესს მოერგო, ფაქტიურად აღნიშნულმა აიძულა კერძო სექტორი აეყოლებინა ფეხი არსებული მდგომარეობისთვის, რამაც შეაფერხა გარკვეული საქმიანობები, თუმცა აღნიშნულში დადებითი ის არის, რომ სისტემა აღნიშნულ გამოწვევას გაუმკლავდა და სრული პარალიზება არ მოხდა ამა თუ იმ სისტემის.

კორონავირუსმა უამრავი ამოცანა დააყენა

როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წინაშე, კერძოდ კი: დასაქმებულების შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა, საზოგადოების დაავადების რისკის თავიდან აცილება, სამუშაო ადგილების დაცვა და მხარდაჭერა მათი, ვინც ვერ მუშაობდა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. Covid-19-ის გავლენა ერთნაირი არ არის სხვადასხვა სექტორებისა და ცალკეული პირებისთვის. კონკრეტული სოციალური თუ დემოგრაფიული ფაქტორები გავლენას ახდენს ადამიანის უნარზე, იზრუნოს ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ შედეგებზე, რაც პანდემიას ახლავს თან.

კორონავირუსმა დიდი გავლენა იქონია ფინანსურ ბაზრებზე. ვირუსის გავრცელების არეალის გაფართოებასთან ერთად, არაერთი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასმა დაიწყო დაცემა. ბლუმბერგის მონაცემების თანახმად, თებერვლიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა ინდექსმა იწყო ვარდნა.¹


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საწარმოთა რაოდენობა წლების მიხედვით² გამოსახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 2-ში (მათ შორის მოქმედ საწარმოთა რეესტრი).

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით აღსანიშნავია, რომ 2017 წელს აქტიურ საწარმოთა რაოდენობა რეგისტრირებულ მონაცემებთან თანაფარდობით შეადგენდა 24,3%-ს, 2018 წელს – 22,8%-ს, 2019 წელს – 24%-ს, ხოლო 2020 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით 23,4%-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ თითქმის პანდემიის გათვალისწინებით არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია ზემოაღნიშნული მონაცემები, მაგრამ 2018 წელთან შედარებით 2019 წელს საწარმოთა რიცხვი გაიზარდა 42 800 (5,58%) საწარმოთი და აქტიურ საწარმოთა რიცხვი 18 900 (10,28%) საწარმოთი, ხოლო 2020 წლის (3 კვარტლის) მონაცემებით 2019 წელთან შედარებით საწარმოთა რიცხვი გაიზარდა 26 700-ით (3,36%) და აქტიურ საწარმოთა რიცხვი მხოლოდ 1 900 (1%) საწარმოთი, რაც საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია, წინა წელთან შედარებით საწარმოთა აქტიურობა თითქმის

1 <https://www.bloomberg.com/markets/sectors/real-estate>


2 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>

სოციალური ეკონომიკის პრობლემები



დიაგრამა 2.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით



დიაგრამა 3.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

9,28%–ით (17 000 საწარმო) ნაკლებია.

ამასთან, ზემოაღნიშნული მონაცემების გასამყარებლად წარმოგიდგენთ დიაგრამა 3–ით საწარმოთა დეკლარირებული მონაცემებს¹

¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori>

საშუალო ხელფასის, დასაქმებულთა რაოდენობის, გამოშვებული პროდუქციისა და ბრუნვის წლების მიხედვით მოძრაობას.

ზემოაღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ საშუალო ხელფასის რაოდენობის გარდა 2020 წელს შემცირებულია დასაქმებულთა, გა-

მოშვებული პროდუქციის და ბრუნვის რაოდენობები, კერძოდ: რაც შეეხება ბრუნვას 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გეჭონდა 17,2%-იანი ზრდა, 2019 წელს წინა წელთან შედარებით 20,5%-იანი ზრდა, ხოლო 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 73,2%-ით; გამოშვებული პროდუქციის მიხედვით 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გეჭონდა 8,17%-იანი ზრდა, 2019 წელს წინა წელთან შედარებით 12,42%-იანი ზრდა, ხოლო 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 75,57%-ით; დასაქმებულთა რაოდენობის შესაბამისად ირკვევა, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გეჭონდა 3,54%-იანი ზრდა, 2019 წელს წინა წელთან შედარებით 2,99%-იანი ზრდა, ხოლო 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 14,70%-ით; ხოლო რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების ზრდას (10,81%) აღნიშნული სამწუხაროდ გამოწვეულია, იმ დასაქმებულთა რაოდენობის ხარჯზე, რომლებიც 2020 წელს დარჩა სამუშაოს გარეშე.

ექსპერტთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამს პანდემიის შემდგომ პერიოდში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობასა და პოტენციალს, რამდენადაც საქართველო, საერთაშორისო წყაროებში ხშირად იქნა განხილული, როგორც პანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, რასაც ემატება ქვეყანაში არსებული რიგი წინაპირობები, როგორიც არის დაბალი გადასახადები, სტრატეგიული ადგილმდებარეობა და რიგ ქვეყნებთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების მოზიდვის ან ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობასთან ერთად, პარალელურ რეჟიმში ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებზე, რადგან ვერც ერთი ბიზნესი ვერ იფუნქციონირებს შესაფერისი კვალიფიკაციის კადრების არსებობის გარეშე.

დასკვნა

ჩემი აზრით კრიზისი – ეს არის საფრთხე, თუმცა იგი ასევე არის ახალი შესაძლებლობების წყაროც, გამომაფიხილებელი ფაქტორი, რომელიც გვეხმარება რეალობის სხვა კუთხით დანახვაში. შესაბამისად „მნიშ-

ვნელოვანია ვისწავლოთ ღიმნისგან ღიმონათის დამზადება“ მითუმეტეს, როცა საქართველოში ჩ VI -19-ის გავრცელების პიკი არ არის მიღწეული და საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. შესაბამისად მიმაჩნია, რომ დროა საქართველოს მთავრობაც გადავიდეს შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე, რაც სავარაუდოდ დაგვეხმარება კრიზისისგან თავის დაღწევაში, კერძოდ:

- ადგილობრივი წარმოების, ქარხანა-ფაბრიკების შექმნა და უკვე არსებულის განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ტურიზმის განვითარება;
- კერძო ბიზნესის როლის შესაბამისად აღქმა და მათთვის შესაბამისი და მოქნილი საშეღავათო პირობების შექმნა (ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების გაცემა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შეთავაზებას არ ჰქონდეს ისეთი ხასიათი, რომელიც „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, მექანიკურად გადააქცევს „მახედ“ და მისი დატოვებისთვის არ მოუწევს ბიზნესს უფრო მეტი აქტივობის განხორციელება ვიდრე მასში ჩართვისთვის);
- საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, ახალი და არსებული კადრების გადამზადება სხვადასხვა აქტივობების და ტრენინგების დაფინანსების გზით;
- სტარტაპების ხელშეწყობა;
- უზრუნველყოს კერძო ბიზნესის თვითორგანიზება ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებისთვის, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებს;
- უზრუნველყოს საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების შესწავლა და გააზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებითაც და მისი ჩვენს რეალობაზე მორგება;
- უზრუნველყოს ელექტრონული მმართველობის/ ადმინისტრირების მიმართულებით რეფორმების განხორციელების დაჩქარება და არსებული პლატფორმების

სოციალური ეკონომიკის პრობლემები

განვითარება მათი ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთხაზოთ-
ვლილი რეკომენდაციების განხორციელებასთან

ერთად ჟურაღდება უნდა გამახვილდეს ინვეს-
ტიციების მოზიდვის ღონისძიებებზე, რადგან
ვერც ერთი ბიზნესი ვერ იფუნქციონირებს შე-
საბამისი ფინანსური რესურსის გარეშე.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: <https://www.mof.ge/News/9617>
- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. იხ: <http://www.economy.ge/?page=services&s=72>
- ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. იხ: https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
- სსიპ „შემოსავლების სამსახური“. იხ: <https://www.rs.ge/>
- ქართული კომპანიები ჩოვიდ-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე. იხ: https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf
- უძრავი ქონების ანალიტიკა. იხ: <https://forbes.ge/news/9043/uZravi-qonebis-analitika-->
- საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი Covid-19-ის შესაძლო გავლენა საქარ-
თველოს ეკონომიკაზე (არსებული მდგომარეობა და პროგნოზების მიმოხილვა 2020 წლის
4 მაისი). იხ: [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08_Viewpoint_2020-05-04_](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08_Viewpoint_2020-05-04_Covid_19_and_Georgian_economy)
[Covid_19_and_Georgian_economy](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08_Viewpoint_2020-05-04_Covid_19_and_Georgian_economy)
- უახლესი მონაცემები კორონავირუსის, სტატისტიკის, შემთხვევებისა და სიკვდილიანობის
შესახებ მსოფლიოში. იხ: <https://www.trt.net.tr/georgian/covid19>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori>
- Bloomberg data. ix: <https://www.bloomberg.com/markets/sectors/real-estate>
- COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ეკონომიკური მიმოხილვა და ინდ-
იკატორები (გამოცემა №116/ 24.04.2020). იხ: [https://pmcresearch.org/publications_file/09e95ea2b-
cea7f05b.pdf?fbclid=IwAR2FSrjqKlCbliH57Vnz28NAniJPaZ8wmMOzq0M1k4AlQ8Ic4bCOTQJ5e6Q](https://pmcresearch.org/publications_file/09e95ea2b-
cea7f05b.pdf?fbclid=IwAR2FSrjqKlCbliH57Vnz28NAniJPaZ8wmMOzq0M1k4AlQ8Ic4bCOTQJ5e6Q)
- სავაჭრო-სამრეწველო პალატა. იხ: [https://www.interpressnews.ge/ka/article/594540-savachro-sam-
recvelo-palata-covid-19-is-biznesze-gavlenis-kvlevis-shedegebs-akveqnebs/](https://www.interpressnews.ge/ka/article/594540-savachro-sam-
recvelo-palata-covid-19-is-biznesze-gavlenis-kvlevis-shedegebs-akveqnebs/)
- WORLD ECONOMIC OUTLOOK. ix: [https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-
აპრილ-2020](https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-
აპრილ-2020)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/66/sakutrebis-formebis-mikhedvit>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>
- Jobs and economy during the coronavirus pandemic. იხ: [https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coro-
navirus-response/jobs-and-economy-during-coronavirus-pandemic_en](https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coro-
navirus-response/jobs-and-economy-during-coronavirus-pandemic_en)

Impact of Corona virus (COVID 19) on the Georgian business sector and ways to solve it

Gocha Abashidze, PhD student of GTU

Summary

The Corona virus (Covid-19), which started in China in December 2019 and then spread around the world, posed a serious threat to the world. The Covid-19 and the 2020 global recession caused by it have become a significant impediment to the development of the world economy. The pandemic in Georgia has led to slowing economic growth, rising unemployment, declining purchasing power of the Lari, declining real estate prices and weakening private sector solvency. The virus has radically changed the behavior of businesses and consumers. It should be noted that the crisis is a threat, but it is also a source of new opportunities, an awakening factor that helps us to see reality from a different angle, therefore “it is important to learn to make lemonade from lemon.”

Key words: Corona virus, world, business environment, economy, economic policy.